# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 10

ქ. გორი _3 _ _ნოემბერი_ 2016 წ.

ვდებთ ამ ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ( შემდგომში „ხელშეკრულება“ ), ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის მწერალთა სახლი(შემდგომში „გამომცემელი), ერთი მხრივ, დირექტორის, ჯემალ ინჯიას სახით, და, მეორე მხრივ, პოეტი/მწერალი გიორ–გი მახარობლიძე (შემდგომში „ავტორი~~–შემსყიდველი~~“), გამარტივებული შესყიდვის შუალე–ბით, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ საქართველოს კანონის“ მე–3 მუხლის პირველი პუნქ–ტის „ს'“ ქვეპუნქტის საფუძველზე, თანადაფინანსების წესით.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.ხელშეკრულების საგანია ავტორის წიგნის, ლექსების კრებულის– „ლექსები“, გამოცემა.
1.2.ბეჭდვითი მომსახურება CPV კოდი 79800000, (შემდგომში“ მომსახურება“) ხელშეკრულე–ბის პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1 106.00 ( ათას ასექვს ლ. ნული თ.) ლარს.

| N | დასახელება | ზომის ერთეული/ | რაოდენობა | ერთეულის ფასი / ლარი | ღირებულება/ ლარი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლექსების კრებული „ლექსები“ | ცალი | 298 | 3.71 | 1 106.00 |
| | სულ | | | | 1 106.00ლარი |

3.ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. ავტორის მიერ შერჩეულ სტამბასთან შპს „ლიტერა+“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), ანგა–რიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
3.2მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს შესაბამისი ანგარიშ–ფაქტურის/ზედნადების საფუძველზე 15 კალედარული დღის ვადაში.

4. მიღება–ჩაბარების წესი

4.1მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმომწერი მხარეებია: ავტორი–შემსყიდველი გიორგი მახარო ბლიძე და მიმწოდებელი ზურაბ ჯოხაძე ან მხარეების უფლებამოსილი პირები.
4.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრუ–ლი მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1 მომსახურების გაწევის ადგილია ქ. გორი, ჯორბენაძის ქ N28;
5.2 მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2016 წლის 8(რვა) დეკემბრამდე;

6 .მხარეთა უფლება–მოვალეობანი

6.1 გამომცემელი იღებს ვალდებულებას ფინანსურად დაეხმაროს ავტორს წიგნის გამოცემაში.
6.2 ავტორის მიერ შერჩეულ სტამბას („მიმწოდებელს") ურიცხავს წიგნის დასაბეჭდად საჭირო თანხის 1 300.00( ათასსამასი ლ.ნული თ) ლარის 85%–ს 1 106.00 ( ათას ასექვსი ლ. ნული თ.) ლარს, მას შემდეგ, რაც ავტორი გამომცემელს წარმოუდგენს სასტამბო კალკულაციას/ინვოისს და მიმწოდებლის ანგარიშზე გადარიცხული თანადაფინანსებ–ის 15%–ის 194.00( ასოთხმოცდათოთხმეტი ლ. ნული თ.) ლარის დამადასტურებელ დოკუმენტს;
6.3 ავტორი იღებს ვალდებულებას:
–წარმოადგინოს წიგნის სასტამბო კალკულაცია;
–ჩარიცხოს მის მიერ შერჩეული სტამბის (მიმწოდებლის) ანგარიშზე წიგნის დასაბეჭდად განსაზღვრული თანხის 15%;
–წიგნის სატიტულო ფურცელზე მიუთითოს სარედაქციო საბჭო: მალხაზ გოჩაშვილი, გურამ ვაშაკიძე, ალექსანდრე კოლოტაშვილი; გამომცემელი: ა(ა)იპ ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის მწერალთა სახლი და აღნიშნოს თანადამფინანსებელი ორგანოს (გორის მუნიციპალიტეტის მერია) და თანადამფინანსებლის სახელწოდება/ვინაობა;
–დაბეჭდილი წიგნის ორი ეგზემპლარი გადასცეს მწერალთა სახლს.
6.4 გამომცემელი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
6.5 ავტორი–შემსიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებისა და შესასყიდი პროდუქციის ხარისხის ინსპექტირება;
6.6 ავტორ– შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური კონტროლი ანდა შეამოწმოს მიწოდებული ობიექტი, რათა დარწმუნდეს მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან და ხარისხთან;
6.7 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექ–ტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
6.8ავტორ– შემსყიდველს უფლება აქვს წუნდებული ნივთის არასათანადო ხარისხით მიწოდების შემთხვევაში მოახდინოს მიმწოდებლის გაფრთხილება და მოითხოვოს ნაკლის აღმოფხვრა. მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოასწოროს ნაკლი. აღნიშნული გარემოების ორჯერ აღმოჩენისას შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%–ის ოდენობით.

7.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრ ულებისაგან.

## 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესძლებელია მხოლოდ წე რილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქარ თველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებე– ლია 10%–ზე მეტი ოდენობით;
8.4 ხელშეკრულების ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობ– ის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშ ეკრულების შეწყვეტის შესახებ;
8.5 მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრ ახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექ ტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს;
8.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
8.7 ხელშეკრულება შედგენილია 2(ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგა ნაც თითოეული გადაეცემათ მხარეებს.

## 9. ფორს მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულ ებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამიწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულ ია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ.

## 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშე– თანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტადმხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 11. ხელშეკრულიბის მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 8დეკემბრამდე.

| | |
|---|---|
| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
| ჯემალ ინჯია | ზურაბ ჯოხაძე |
| ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიისმწერალთა სახლის დირექტორი<br>მისამართი: ქ. გორი, სტალინის გამზ. 31.<br>ს. კ. 218079424<br>სახელმწიფო ხაზინა, TRESGE22<br>598 94 84 70; 0370 27 57 90<br>E-mail: gorismweraltasaxli@gmail.com | შპს „ლიტერა+"–ს ~~დირექტორი~~ მაძიებელი<br>მისამართი: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N 28<br>ს. რ. პროკრედიტ ბანკი", MIBGGE22<br>N GE08PC0143600100028200;<br>ს.კ. 417873233;<br>tel 0370 27 35 45; |